

# ხობის მოამბე

№18-19 (7032) 11 ნოემბერი,
სამშაბათი, 2014 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

**გზად მომავლისკენ** | **ამონარიდები**

## ორი წლის წინათ ყველამ ერთად შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება

### საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეაჯამა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის 2 წელი



**ჩემო თანამემამულეებო!**

ორი წლის წინ არჩევანი გაკეთდა დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების სასარგებლოდ–ქართველმა ხალხმა აირჩია ცხოვრება შიშის გარეშე, პერსპექტივა თითოეული ადამიანისთვის, წინსვლა, განვითარება, კეთილდღეობა და საბოლოოდ უთხრა უარი ძალადობასა და უსამართლობას. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ხალხს იმ თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი–ქართული ოცნებას" გამოუცხადა. სწორედ თქვენი ერთგულებისა და სრული ნდობის შედეგად მოიპოვა ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შემდეგ ორ არჩევნებში დამაჯერებელი და საბოლოო გამარჯვება.

ჩვენ სირთულეებითა და გამოწვევებით აღსავსე ორი უმნიშვნელოვანესი წელი გამოვიარეთ. ამ ორ წელიწადში აბსოლუტურად ყველა სფეროში მივაღწიეთ მნიშვნელოვან წინსვლას, და ამ სიტყვების უტყუარობას არა მარტო ციფრები, არამედ ჩვენი საქმიანობის კონკრეტული შედეგებიც მოწმობს. დაწყებული ჯანდაცვითა და განათლებით, მეწარმეობის წახალისებითა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით, და დამთავრებული კანონის უზენაესობის დამკვიდრებით,–ყველა სფეროში გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები. ჩვენ ვახორციელებთ რეფორმებს და ვქმნით განვითარების პირობებს, იმისათვის, რომ გზა გავუხსნათ ქართველი ხალხის ნიჭიერებასა და პოტენციალს და ფეხზე დავაყენოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

ამ ორმა წელმა ინტენსიურ სამუშაო პროცესში განვლო. არ გამოვრიცხავ, რომ გარდამავალ ეტაპზე ყველაფერი ისე იდეალურად არ ხდება, როგორც ეს ჩვენ გვინდა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მთავრობა ნამდვილად ერთგულად ემსახურება ხალხსა და ქვეყანას. ჩვენ, ხელისუფლებაც და ხალხიც, ახლა რთულ და ძალიან საპასუხისმგებლო პერიოდს გავდივართ და ყველა ერთად ღირსეულად გადავლახავთ ამ ეტაპს.

წინ კიდევ ძალიან ბევრი საქმე გველის. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ეკონომიკის ზრდა, რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და მეტი კეთილდღეობა ჰქონდეს თითოეულ ოჯახს. ჩვენი ქვეყანა სწორ გზას ადგას–ჩვენ ვაშენებთ ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც თითოეული ადამიანის უსაფრთხოების, თავისუფლებისა და კეთილდღეობის გარანტი იქნება.

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოების წინაშე 2 წლიანი ანგარიშით წარდგენისას აფხაზ და ოს ხალხს მიმართა და მათ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ავტონომია და ევროპული პერსპექტივა შესთავაზა.**

„საქართველომ ბევრი რამ გამოიარა. ჩვენმა ომებმა მძიმე კვალი დატოვა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ჩვენ ტერიტორიაზე გამყოფი, საოკუპაციო ხაზები არსებობს. არსებობს სოფლები, რომლებსაც ჩვენი თანამემამულეები, გადატანილი უდიდესი სტრესისა და ტრავმის მიუხედავად, არ ტოვებენ და უმძიმეს პირობებში აგრძელებენ ცხოვრებას. ჩვენ მათ უყურადღებოდ არ ვტოვებთ-39 სოფელში უკვე აღვადგინეთ სარწყავი წყლის მიწოდება, შეკეთებულია გზები, ავაშენეთ ამბულატორიები, გაზიფიცირებულია ყველა-58 სოფელი. 50 სოფლის 11 000-ზე მეტმა ოჯახმა ზამთარში გათბობისთვის 200-ლარიანი დახმარება მიიღო. სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს იმ სტუდენტებმა, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან არიან.

* * *

ძალიან რთულია, როდესაც სხვის ტერიტორიაზე მოინდომებ ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას – არ მოხდება ეს, მეგობრებო, არასოდეს მოხდება. ეს არის მიუღწეველი, უტოპიური გეგმა, რომელსაც არც ჩვენი თაობა, არც მომავალი თაობა, არასოდეს შევეგუებით, იმიტომ რომ ეს არის ჩვენი ძირძველი ტერიტორია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით შემოგვინახეს დღემდე. თქვენ ვერ იქნებით ბედნიერი ჩვენს გარეშე და ჩვენ ვერ ვიქნებით ბედნიერი თქვენს გარეშე.




„მინდა გაგაცნოთ პირველი შედეგები, რომლებიც უკვე გვაქვს განათლების სისტემაში. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ოჯახებს მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. მათთვის სასკოლო ხარჯები იყო ძალიან სერიოზული პრობლემა, განსაკუთრებით მძიმედ აწვებოდა ეს ტვირთი იმ ოჯახებს, რომლებსაც რამდენიმე შვილი ჰყავთ. მეორე წელია, რაც სკოლის მოსწავლეები უფასოდ იღებენ სახელმძღვანელოების კომპლექტს და ამან 60 პროცენტამდე შეამცირა ოჯახის წლიური დანახარჯი საშუალო განათლებაზე–მოსწავლეების მშობლები ყოველწლიურად 75 მილიონ ლარს ზოგავენ. გარდა ამისა, 1065 სკოლის 53 ათასამდე მოსწავლეს ემსახურება უფასო სასკოლო ტრანსპორტი. საქართველოს მასშტაბით უკვე ავაშენეთ 9 ახალი სკოლა და კიდევ ვაშენებთ 8 სკოლას. 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია".

C ჰეპატიტით დაავადებულებს მაქსიმალურად შევუმსუბუქეთ პირობები. ამ პროგრამით, 2 ათასამდე პაციენტმა ისარგებლა და დაიზოგა 2 მილიონ 315 ათასი ლარი. გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია და მნიშვნელოვანია, C ჰეპატიტის მკურნალობა სრულიად უფასოა პატიმრებისთვის. 1000 დაავადებული პატიმრის მკურნალობისთვის სახელმწიფო 6 მილიონ ლარს ხარჯავს. უკვე განიკურნა 173 პატიმარი. ეს შეიძლება დაუჯერებელი იყო 2 წლის წინ. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება და მისი ჯალათები უმკურნალებდნენ პატიმრებს ციხეში და დახარჯავდნენ 6 მილიონ ლარს? მაგრამ ჩვენ ეს რეალობა შევცვალეთ.



გზაზე მომავლისკენ

ამონარიდები

# ორი წლის წინათ ყველამ ერთად შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება

## საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეაჯამა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის 2 წელი










„ჩვენ ვეხმარებით მცირემიწიან ფერმერებს საგაზაფხულო სამუშაოებში-2 წლის განმავლობაში დაიხნა 420 ათასი ჰექტარი მიწა. ყოველ წელს 800 ათასი გლეხი იღებს დახმარებას სახელმწიფოსგან. ამაში 300 მილიონამდე ლარია დახარჯული. ასეთი პრეცედენტი საქართველოში არ ყოფილა, სოფელს ასეთი დახმარება არ ახსოვს. გლეხებს უსასყიდლოდ მივაწოდეთ 9 მილიონამდე ლარის ღირებულების სათესლე მასალა, 48 მილიონ ლარამდე ღირებულების შხამქიმიკატები, 54 მილიონამდე ლარის ღირებულების ინვენტარი. და ეს ყველაფერი არ არის - ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი. 2013 წლის მარტიდან გაცემულია 492 მილიონი ლარის 21 ათას 400 აგროკრედიტი. წარმოიდგინეთ, მეგობრებო, ესაა ნახევარი მილიარდის ინვესტიცია მხოლოდ ამ პროექტში და ახალი საწარმოებისთვის, რომლის უმნიშვნელოვანეს შედეგებს უახლოეს მომავალში ყველა დაინახავს. ამ პროექტის ფარგლებში, დაფინანსდა 89 ახალი საწარმო, ხოლო გადაიარაღდა 521. ინტენსიურად ვმუშაობთ სასმელი და სარწყავი წყლით სოფლების მომარაგებაზე. 35 მუნიციპალიტეტში განხორციელდა სასმელი წყლით მომარაგების 53 პროექტი. ჩატარდა პრაქტიკულად ყველა სარწყავი მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია. გარემონტდა 1500 ჰიდროტექნიკური ნაგებობა, ხოლო 3 ათას კილომეტრამდე სარწყავ არხს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტო რთველი გვქონდა. გლეხებისგან შესყიდულია 200 ათასი ტონა ყურძენი. წლების განმავლობაში ყურძნის ფასი 50-დან 90 თეთრამდე მერყეობდა, 90 თეთრი იყო მაქსიმუმი, რასაც გლეხი იღებდა. შარშან და წელს კი ყურძნის ფასი საგრძნობლად გაიზარდა და მინიმუმ ლარი ღირდა. თუმცა, რქაწითელის ფასმა ლარნახევარს, საფერავის კი - 3 ლარსა და 40 თეთრსაც კი მიაღწია. ხალხმა თავისი შრომის შედეგად 270 მილიონი ლარი აიღო. სოფელში გაჩნდა იმედი, ოჯახებს გაუჩნდათ შემოსავალი. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ იმედის გაჩენაა ჩვენი ყველაზე დიდი წარმატება. წელს პირველად სახელმწიფო ეხმარება ვაშლის მწარმოებლებს და გაიცემა სუბსიდია არასტანდარტულ ვაშლზე, რისთვისაც ჩვენ 1 მილიონ 600 ათას ლარს ვხარჯავთ. ეს სერიოზული შეღავათი იქნება ჩვენი გლეხებისთვის და ხილის მწარმოებლებისთვის. ატმის ექსპორტი გაზრდილია 74%-ით და შეადგინა 5.4 ათასი ტონა - ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობამ ატმის რეალიზაციით 5 მილიონ 500 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.

ასევე, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი თხილის ექსპორტი. წელს 107 მილიონი დოლარის ღირებულების თხილის რეალიზაცია მოახდინეს ჩვენმა გლეხებმა და ფერმერებმა”,.




2014 წლიდან საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში, საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს დაენიშნათ ყოველთვიური კომპენსაცია 500 ლარის ოდენობით, 2015 წლიდან კი კომპენსაცია 1000 ლარი გახდება. ჩვენი გადაწყვეტილებით, საერთაშორისო მისიებში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების კომპენსაცია გახდა 100 ათასი ლარი, რაც მანამდე მხოლოდ 15 ათას ლარს შეადგენდა”, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„განხორციელებულმა მართლმსაჯულების რეფორმამ, ხელისუფლების გაცხადებულ პოლიტიკურ ნებასთან ერთად, ხელი შეუწყო სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. რეგიონებში უკვე გაიხსნა 12 და წლის ბოლომდე გაიხსნება 5 ახალი საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც 100 ათას მოქალაქეს მოემსახურება და სოფლიდან გაუსვლელად 200-ზე მეტი სერვისის მიღება იქნება შესაძლებელი”, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.




„და მაინც, ხშირად ისმის კრიტიკა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ამ კრიტიკის გამო, თუნდაც სრულიად უსაფუძვლო კრიტიკის გამო, დავიჭიროთ ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, დავაშინოთ მათი შვილები და მშობლები, რაც უახლოეს წარსულში, სრულიად სამარცხვინოდ, უამრავმა ჩვენმა მოქალაქემ საკუთარ თავზე გადაიტანა. ჩვენ, განსხვავებული აზრის გამო, არასდროს ხელვყოფთ კერძო საკუთრებას, არ შევიჭრებით ტელევიზიაში და სამაგალითოდ არ დავსჯით ჟურნალისტებს მათი სიუჟეტების გამო. ჩვენ არ ვაწამებთ ადამიანებს და ამით არ დავაშანტაჟებთ მათ ახლობლებს. ჩვენ არასდროს შევქმნით ჩვენგანვე მართულ ოპოზიციას, საკუთარ, დაქირავებულ ექსპერტებს და ჟურნალისტებს. და ჩვენ ამას არ გავაკეთებთ ერთადერთი მიზეზით - ჩვენ ეს არ გვჭირდება! ჩვენ საქმეს ვაკეთებთ ადამიანებისთვის და თუ მათ დავუკარგეთ ღირსება, მაშინ აღარაფერს აქვს აზრი! ჩვენ აღარასდროს დავუშვებთ შეშინებულ და დასტრესილ საზოგადოებას, რადგან თავისუფალი საზოგადოების შექმნას ვუწყობთ ხელს. ჩვენ ადამიანების თავისუფლებას და ღირსებას ვცემთ პატივს! ჩვენ მათთვის ვმუშაობთ და მათ წინაშე ვგრძნობთ პასუხისმგებლობას და ყველა შედეგი, რასაც აქამდე მივაღწიეთ და რასაც მივაღწევთ უახლეს მომავალში, სწორედ ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის, მისი თავისუფლებისა და ღირსებისთვის გვინდა!“- აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ანგარიში

2014 წლის 30 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს, გამგეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, პირველ საკითხად ცნობად იქნა მიღებული „ფრაქცია „ხობი"-ს რეგისტრაციის შესახებ" განკარგულების პროექტი (მომხს. ნ. შუშანია–საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

სხდომაზე მეორე საკითხად განხილულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის „ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის 21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი, რომელიც წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დ. ჭოჭუამ. ბიუჯეტის ცვლილების შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა შესყიდვების გეგმაშიც.



შემდეგ საკითხად განხილული იქნა „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" და „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" დადგენილების პროექტები, რომლებიც წარმოადგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ზ. ბუკიამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი საკითხების განხილვისას მოსმენილიქნა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გ. სიჭინავას ინფორმაცია მოსახლეობისგან გამოთქმული პრეტენზიების შესახებ, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სავაჭრო და კვების ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ანტისანიტარიას, ხშირ შემთხვევაში კი ამ კუთხით გაუსაძლისი პირობების არსებობას. ზემოთხსენებული ინფორმაციიდან გამომდინარე საკრებულომ მიზანშეწონილად მიიჩნია მიემართოს გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მშენებლობის ნებართვით და ნებართვის გარეშე აშენებული და ფუნქციონირებადი სავაჭრო და კვების ობიექტებზე ინფორმაციის საკრებულოსთვის მიწოდების თაობაზე და ამ პრობლემის კონტროლზე აყვანა, რათა ხელი არ შეეშალოს კანონის ფარგლებში ფუნქციონირებად კერძო ბიზნესს. ამასთან ეთხოვოს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ხობის სამსახურს, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს და შპს „ხობი დასუფთავება და განათება"-ს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის განხორციელება ზემოთაღნიშნულ ფაქტებზე.

დასასრულს მოსმენილიქნა არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს" დირექტორის როსტომ გამისონიას ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების შესახებ, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას წყლის, ეკოლოგიური სანიტარიის და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების მნიშვნელობაზე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. რ. გამისონიას მხრიდან, მეტი თვალსაჩინოებისთვის, გაიმართა ვიდეო პრეზენტაცია ხობის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების კერძოდ: წყალი და ეკო-სანიტარია, უსაფრთხო წყალი, ეკო-სანიტარია და ეკო-მშრალი ტუალეტები საბავშვო ბაღებისათვის, ხილისა და ბოსტნეულის მზის საშრობები, ენერგო-ეფექტური ღუმელები და სხვა.

მომხსენებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საკრებულოსა და ზემოთ ხსენებული ორგანიზაციის ერთობლივ თანამშრომლობას ახალ-ახალი პროგრამების შესამუშავებლად, რომლის განხორციელებითაც ხობის მუნიციპალიტეტს ექმნება პერსპექტივა გახდეს სანიმუშო მთელს რეგიონში.

საკრებულოს თავმჯდომარე ე. ჯობავამ თავის მხრიდან დაინტერესება გამოხატა წარმოდგენილ პროექტებთან მიმართებაში და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით სრული მზადყოფნა გამოთქვა მათი განხორციელების პროცესში თანამონაწილეობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დასრულების შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია.**

## ჯვრის ქვესადგურის და ეგხ-ების მშენებლობის პრეზენტაცია

31 ოქტომბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა 500220კვ ჯვრის ქვესადგურისა და ეგხ-ების მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტის პრეზენტაცია საჯარო განხილვისთვის, რომელიც მომზადებულია ფონდი „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის" მიერ. პროექტი წარმოადგინა „ენერგოტრანსი"-ს ტექნიკურმა დირექტორმა ჯემალ ახალაიამ, გარემოს დაცვის სპეციალისტმა ანდრო ხეთაგურმა, გარემოს დაცვის ექსპერტმა ირაკლი კაკილაძემ და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ლევან იოსელიანმა.

ამჟამად არსებული მაღალი ძაბვის ხაზის ქსელის მოდერნიზაცია და ახლის მშენებლობა საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად მთავრობამ გადაწყვიტა გააუმჯობესოს ელექტროგადამცემი ხაზების ქსელი დღევანდელი მოთხოვნების და საექსპორტო პოტენციალის საჭიროების შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა საქართველოს მთავრობის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), KFW-ს და EC(NIF)-ის მხარდაჭერით ახორციელებს ზემოთხსენებულ პროექტს, პროექტის ღირებულება შეადგენს 70 მლნ ევროს.



პროექტის განხორციელების გეგმა დააკმაყოფილებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

პროექტის შემადგენლობაში შედის ახალი 220 კვ ქვესადგურ „ჯვარიდან" ახალ 220 კვ ქვესადგურ „ხორგა"-მდე 220 კვ ორჯაჭვა საჰაერო გადამცემი ხაზის მშენებლობა და აღჭურვა, რომლის საერთო სიგრძე იქნება 60 კმ.

პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილია ქვესადგური „ხორგა", რომლის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება და დამთავრდება 2016 წლის ივლისისთვის. ქვესადგური აშენდება ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულის გაღმა ხორგის უბანში, დაახლოებით 13,5 ჰა ტერიტორიაზე, სავარაუდოდ ქვესადგურის ქონებრივი ღირებულება 30მლნ ევრო იქნება, რაც ხობის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქვესადგურის მშენებლობაზე პერიოდულად დასაქმდება 200-მდე ადამიანი, რაშიც პრივილეგიებით ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს.

დაინტერესებულ ახალგაზრდებს ამ დარგში კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება ქვეკონტრაქტორი კომპანია.

პრეზენტაციას საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი **გოჩა ქაჯაია**, საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა** და სხვა ხელმძღვანელი პირები.

## „სიბრძნის საგანძური" სოფელ თორსაში

31 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ თორსის ბიბლიოთეკაში „სიბრძნის საგანძურის" გახსნის პრეზენტაცია მოეწყო. პროექტი ასოციაცია „ათინათთან" პარტნიორობით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და გაეროს ერთობლივი პროგრამით, სოფლის მოსახლეობის ჩართულობითა და ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომით დაფინანსდა და განხორციელდა. პროექტის პრეზენტაციას, რომელსაც ბიბლიოთეკის სპეციალისტი გვანცა კიკალეიშვილი უძღვებოდა, პროექტის ორგანიზატორებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ. პრეზენტაციის დასასრულს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა წაიკითხეს ლექსები, საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ისაუბრეს წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე.



პროექტი „სიბრძნის საგანძურის" მიზანია სოფელში არსებული ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია და აღჭურვა. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 6 634 ლარს, აქედან გაეროს განვითარების პროგრამით დაიხარჯა 5917 ლარი, სოფლის მოსახლეობამ საკუთარი სურვილით 212 ლარი გაიღო, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 505 ლარი.

## ტრენინგი ებოლას ვირუსის პრევენციისთვის

29 ოქტომბერს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების ეპიდემიოლოგებმა ნ. ოდიშარიამ, თ. აბსანძემ და მ. ჩილაჩავამ ებოლაზე, როგორც ჰემორაგიულ ცხელებაზე რეაგირებისა და მზადყოფნის ტრენინგი ჩაატარეს. ეპიდემიოლოგებმა მსმენელებს გააცნეს პირადი დაცვის აღჭურვილობის ტექნიკის წესები. დასასრულს ნაჩვენები იყო ვიდეოლექციები ებოლას ეპიდემიოლოგიის, კლინიკისა და მკურნალობის შესახებ.

მცირე რამ ებოლას შესახებ: ებოლა წარმოადგენს ჰემორაგიულ ცხელებას. ის იშვიათი დაავადებაა, თუმცა ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით (დაავადებულთა 90%-ზე მეტი დაიღუპა). ვირუსით ავადდებიან ადამიანები, ზოგიერთი პრიმატები და წყვილჩლიქოსნები. მისი მკურნალობის მეთოდი და ვაქცინა არ არსებობს. დასავლეთ აფრიკაში ეპიდემიის დაწყებისთანავე აშშ-მა კანადურ ფარმაცევტულ კომპანიას ებოლას ცხელების ვაქცინის ადამიანზე შეზღუდული გამოცდის უფლება მისცა. ამერიკის ხელისუფლების დაფინანსებით შექმნილი ვაქცინა უკვე წარმატებით გამოსცადეს მაიმუნებზე. პირველად ვირუსი დაფიქსირდა 1976 წელს ეკვატორულ სუდანსა და ზაირში. სუდანში დაინფიცირებული 284 ადამიანიდან გარდაიცვალა 151, ზაირში კი 318 დაავადებულიდან 280 გარდაიცვალა. ვირუსის პირველი იდენტიფიცირება მოხდა ზაირში მდინარე ებოლას ხეობაში, საიდანაც გაჩნდა ვირუსის სახელწოდება.

ვირუსი ვრცელდება ლორწოვანი გარსით და კანის მიკროდაზიანებებით. კანადელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტებით დაადასტურეს, რომ ვირუსი შესაძლებელია კონტაქტის გარეშეც გადაეცეს.

დაკრძალვის რიტუალები, რომლის დროსაც ჭირისუფლებს აქვთ კონტაქტი დაღუპულის სხეულთან, ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი წყაროა. დაღუპულის ორგანიზმიდან ვირუსი 3 კვირის განმავლობაში გამოიყოფა.

დაფიქსირებულია ვირუსის გავრცელება გორილებიდან, შიმპანზეებიდან და დუკერებიდან (აფრიკული წყვილჩლიქოსანი ცხოველი). ვირუსის გავრცელების ბუნებრივ არეალად ითვლება ეკვატორული აფრიკის ჯუნგლები.

ვირუსის საინკუბაციო პერიოდი 2-დან 21 დღემდე გრძელდება დაავადების განსხვავებული სიმძიმე და სიკვდილიანობის განსხვავებული სტატისტიკა გამოწვეულია ვირუსის სხვადასხვა შტამებით (ქვესახეობებით). ებოლას ვირუსი იყოფა 5 ქვესახეობად: სუდანის, ზაირის, ტაის ტყის (კოტ-დივუარის), რესტონის და ბუნდიბუგიოს. ადამიანისათვის საშიში 4 ქვესახეობაა. ებოლას რესტონული ვირუსით დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ტაის ტყის და რესტონის ებოლას ვირუსები შედარებით იშვიათია.

დაავადების სიმპტომებია თავის, კუნთებისა და მუცლის ძლიერი ტკივილები, დიარეა და ანგინა. მოგვიანებით ჩნდება მშრალი ხველება, მჩხვლეტავი ტკივილები მკერდში და დეჰიდრატაცია. ვირუსი იწვევს სისხლის შემადგენლობის შეცვლას–იწყება ანემია, ლეიკოციტებისა და ტრომბოციტების მკვეთრი შემცირება. შედეგად იშლება სისხლის შედედების ფუნქცია, ზიანდება სისხლძარღვები და იწყება სისხლდენები. სიკვდილი დგება დაავადების მეორე კვირას სისხლდენებისა და შოკის შედეგად.

WWW.khobi.ge.

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N36

2014 წლის 30 ოქტომბერი ქ. ხობი

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს თანდართული „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის" ფორმა (დანართი 1).

**მუხლი 2.** დამტკიცდეს თანდართული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი" (დანართი 2).

**მუხლი 3.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 მაისის N41 დადგენილება.

**მუხლი 4.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ელიშერ ჯობავა,**
**საკრებულოს თავმჯდომარე.**

*დანართი 1*
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
*2014 წლის 30 ოქტომბრის N36 დადგენილებისა*

### დამტკიცებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N36 დადგენილებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N

201 წლის------------------------------------------
(ოქმის შედგენის ადგილი)

1. მე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ----------------------------------------
(თანამდებობა, სახელი, გვარი, მამის სახელი)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე და 240-ე მუხლების შესაბამისად, შევადგინე აღნიშნული ოქმი ----------------------------------------
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი და დრო)

----------------------------------------

----------------------------------------

(სამართალდამრღვევი სუბიექტის სრული დასახელება, სახელი, გვარი, მამის სახელი, მოქალაქეობა)

----------------------------------------
(სამართალდამრღვევი სუბიექტის იურიდიული მისამართი)

----------------------------------------
(სამართალდარღვევის არსი)

----------------------------------------

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

----------------------------------------

----------------------------------------
(მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი)

2. აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის (წარმომადგენლის) ახსნა-განმარტება: ----------------------------------------

----------------------------------------

----------------------------------------

3. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები.

მე, ----------------------------------------
(სახელი, გვარი, მამის სახელი)

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე''.

4. ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის გამო შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ოქმი შევადგინე: ----------------------------------------
(ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

ოქმს გავეცანი: ----------------------------------------
(ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ხელმოწერა)

შენიშვნა----------------------------------------
(შენიშვნის არსი და ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

----------------------------------------

მოწმეები (დასწრების შემთხვევაში):

---------------------- ----------------------
(სახელი, გვარი) (მისამართი, პირადობის მოწმობის№) (ხელმოწერა)

---------------------- ----------------------
(სახელი, გვარი) (მისამართი, პირადობის მოწმობის№ ) (ხელმოწერა)

დაზარალებულები (დასწრების შემთხვევაში):

---------------------- ----------------------
(სახელი, გვარი) (მისამართი, პირადობის მოწმობის№ ) (ხელმოწერა)

---------------------- ----------------------
(სახელი, გვარი) (მისამართი, პირადობის მოწმობის№ ) (ხელმოწერა

5. ოქმის ასლი ჩავიბარე----------------------------------------
(ხელი, გვარი, მამის სახელი, მოქალაქეობა, მისამართი, პირადობის მოწმობის№ )

----------------------------------------
(ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ხელმოწერა)

შენიშვნა: ოქმის ხელის მოწერაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისთვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს თავის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

***დამკვეთი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა***
***შემსრულებელი:***
***სფს-ს რეგისტრაციის N***

**დანართი 2**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2014 წლის 30 ოქტომბრის N36 დადგენილებისა**

## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

**მუხლი 1.**

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (შემდგომში - „წესი") შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ'' საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანების საფუძველზე.

2. წესის მიზანია მკაცრი აღრიცხვის ფორმის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და მისი აღრიცხვა-წარმოების რეგულირება.

**მუხლი 2.**

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა პოლიგრაფიულ საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მკაცრი აღრიცხვის ფორმის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სტამბური წესით ბეჭდვას (შესაბამისი დამცავი ნიშნების გათვალისწინებით).

2. პოლიგრაფიული საწარმოს მიერ სტამბური წესით დაბეჭდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩაბარების უფლება აქვს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს (შემდგომში - „სამსახურის უფროსი"), ან პირს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი ოქმებს ინახავს დაზიანებისა და გარეშე პირთაგან დაცულ სათავსოში.

**მუხლი 3.**

სამსახურის უფლებამოსილი პირი, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს შემოსავლის და გასავლის ჟურნალში სათანადო აღნიშვნისა და ხელმოწერის შემდეგ წარუდგენს შესაბამის უწყებას.

**მუხლი 4.**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების მიღება, აღრიცხვა და გაცემა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებული და გაფუჭებული ფორმები ბარდება მათ მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებაც ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის გაფუჭების ან/და დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი პირი ფორმას თან ურთავს ახსნა-განმარტების ბარათს, რაზედაც დგება სათანადო აქტი.

**მუხლი 5.**

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და წინამდებარე წესის დამრღვევი პირი პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

ბლიც-ინტერვიუ

# გახსოვდეთ წარსული, იზრუნეთ მომავალზე



**სახელი:** ლევანი.

**გვარი:** ქავთარაძე.

**საქმიანობა:**

–პროფესიით ვარ ექიმი-ნევროლოგი, ამჟამად ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

**თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?**

–საბედნიეროდ ბევრი ლამაზი დღე გამითენა უფალმა, ბოლო მათგანი–გუშინ, როცა ჩემმა 3 თვის ნიკომ პირველად გამიღიმა.

**რას ინატრებდით?**

–ხობის და სრულიად საქართველოს აყვავებას, ძველი სიდიადის და მთლიანობის დაბრუნებას და მასში ბედნიერ ცხოვრებას.

**სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?**

–ცხოვრება წინაა. იმედია, აუსრულებელ სურვილებს მინიმუმამდე დავიყვან.

**ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?**

–ხობელი ამომრჩევლის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენას.

**ცხოვრება ვის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ?**

–ბევრი ვინმეს გარეშე: შვილების, ოჯახის, მეგობრების, პაციენტების...

**თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?**

–რთული სათქმელია, ალბათ მიზანსწრაფულობა, ერთგულება, გვერდში მდგომის და პროფესიის სიყვარული.

**თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?**

–მიცემული სიტყვის (დადებული პირობის) შესრულება, მაშინაც კი, როცა ეს ჩემთვის ზიანის მომტანია.

**რისი გჯერათ?**

–უკეთესი მომავლის.

**რასაც არასოდეს გააკეთებდით?**

–გვერდში მდგომს არ ვუღალატებდი.

**ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?**

–ერთგულება მოყვასისადმი, სამშობლოსადმი, საქმისადმი ....

**ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?**

–ღალატის? ალბათ არა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, იმდენჯერ ჩამიხედავს სიკვდილსთვის თვალებში, რომ ვშიშობ, უკვე არაფრის მეშინია.

**ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?**

–ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ამიტომ ხშირად ვამბობ: ყველაფერი კარგად იქნება!

**რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?**

–სიყვარული! სწორედ სიყვარულია ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, ამქვეყნად ყველაფერი სიყვარულით იწყება და მისითვე მთავრდება!

**როგორ მოხვდით პოლიტიკაში?**

–აპოლიტიკური არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი პოლიტიკაში მონაწილეობა ადრეულ წლებში შემოიფარგლებოდა საინფორმაციო საშუალებებით თვალყურის დევნებაში, პოლიტიკური მოვლენებისადმი და საარჩევნო ყუთთან პოზიციის გამოხატვაში, მაგრამ, სამწუხაროდ, 2008 წლიდან ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა და ხალხისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილმა დანაშაულებმა მაიძულა, აქტიურად ჩავრთულიყავი პოლიტიკაში, რადგან ვეღარ შევძელი შორიდან მეყურებინა თუ როგორ შეურაცხყოფდნენ ჩემს ხალხსა და ქვეყანას.

**ვინ არიან თქვენი ოპონენტები?**

–უსაფუძვლოდ ამბიციური, უწიგნოდ „განათლებული“, ცოდნისა და გამოცდილების გარეშე „ყოვლისმცოდნე“ ამპარტავანი არსებები. ისინი, ვინც საკუთარ ბნელ წარსულს ივიწყებენ და საქმიანი და სამშობლოზე თავგამოდებული ადამიანების ლანძღვით ერთობიან.

**ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?**

–როგორ შევიტანო ჩემი მოკრძალებული წვლილი ხობის განვითარებაში, მისთვის 80-იანი წლების სილამაზისა და სიამაყის დაბრუნებაში.

**რითი ილამაზებთ ცხოვრებას?**

–შვილებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, მეზობლებთან ურთიერთობით. მიყვარს სპორტი და მოგზაურობა.

**როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?**

–როგორც ღირსეული ხობელი, საქმის პროფესიონალი.

**როცა უკან მოიხედავთ, რას ხედავთ?**

–ალბათ მთავარს, იმას, რომ უკან მოხედვის არ მეშინია.

**თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?**

–გლობალურად მე ალბათ ვერაფერს შევცვლი. ყოველთვის ვცდილობ რეალურზე ვიფიქრო და ამიტომ მისტიკური ფანტაზიებით თავს არ მოგაწყენთ

**რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით.**

–გახსოვდეთ წარსული, იზრუნეთ მომავალზე, მაგრამ იცხოვრეთ დღეს!

ნაცნობი-უცნობი

***რუბრიკის სტუმარია მწერალი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ხობელებისთვის და არა მარტო მათთვისცნობადი სახე ლაშა გვასალია.***

# ღირსება ჭეშმარიტების სხივოსნობაა...

***თქვენი გვარის წარმომავლობის შესახებ რა იცით?***

–მოგესალმებით, გმადლობთ რომ დაინტერესდით ჩემით, ჩემი გვარის წარმოშობაზე რა თქმა უნდა, ბევრი რამ ვიცი, მაგრამ აქ ამაზე საუბრის საშუალებას ფორმატი არ მოგვცემს. მთავარი, ჩვენი გვარი სენაკის რაიონიდან, სოფელ ხორშიდანაა, უფრო მთავარი–ჩვენი დიდი წინაპარი გუბაზს ხლებია მოხირისის ბრძოლაში. უძველესი ხალხური ლექსი მეტყველებს ამაზე. მოკლედ ამაზე სასაუბროდ მასშტაბურად ვემზადები.

***რა არის თქვენთვის ხობი?***

–ხობი ჩემთვის ღვთისმშობლის კვართია, სულის საუფლო ადგილი, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შემიცვლის ქვეყნიერებაზე, ჩემი ხობითა და გურიფულით ვიწყები, მათი სამშვინველით ვგრძელდები და მათივე სიყვარულით გავუდგები „საცაცხვეთს“, ოდეს მომიწევს ჟამი სასრულის...

***ხართ თუ არა მიზანმიმართული?***

–ვერ გეტყვით, ასე რომ იყოს, ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე იშვიათობას უნდა წარმოადგენდეს! იღბალი უფროა განმსაზღვრავი იმ სიკეთისა, რომელზეც თქვენ ამახვილებთ ყურადღებას!

***ბედნიერება იმის ხვედრია, ვინც ბევრს შრომობს?***

–ბედნიერი ან ხარ, ან არა.. ასე მიმაჩნია და ვბედნიერობ ჩემი შვილების, ჩემი მშობლების, ჩემი ოჯახისა და მთლიანად ჩემთვის უფლისგან შემოსაზღვრული სამყოფლოს კარგად ყოფნობით, ანუ ჯანმრთელობით, კიდევ იმითაც, რომ ვართ ქართველები და შეძლებისდაგვარად ვემსახურებით სამშობლოს ჩვენსას! უფალმა უწყის, როგორაცა ვარ, მაგრამ ვბედნიერობ ჯინაზე არჯალთა, რომლებმაც უარყვეს ყოველივე საღვთოო!..

***რა ფერისაა სიყვარული?***

–სიყვარული სიყვარულისფერი, ანუ ულურჯესია ჩემს ცნობიერებაში. თუმცა ფოლკნერი ამბობს: „სიყვარული ხასიათისა და დამოკიდებულების ფერიაო“... სიყვარული მოდის და არსად მიდის, ის მოკლეკაბიანი ვნებაცახცახა მეზობლის სტუმარი კი არაა, რჩება შენთან, ვითარცა ნაწილი შენი, ჩაუფლებული შენს სინამდვილეს... სიყვარული ღმერთძალიანია და მისგან განშორება სულის დაცემას ნიშნავს, გული –ოხერია, გულს ეხერხება მარადისად გადახვევები, დაბერების რომ ეშინია მიტომ!..

***არის თუ არა მეგობრობა ცხოვრების ერთ-ერთი ბედნიერება?***

–მეგონა ასე იყო, მაგრამ ამ ბოლოს ბევრი რამ უკუღმა შემომიტრიალდა, „ძველმეგობრებმა ჩამცეს ლახვარი, ლამის დასრულდეს სიმღერა გედის!..“ მაგრამ მეგობრობაზე ძლიერსაგულო არაფერი მოუგონია ზენაარს ჯერაც და მივემყუდროვოთ უნდა ისევ ამ სიკეთეს, გავუფრთხილდეთ და გავატანინოთ სვრელი სამოგობრო ბოლომდე!

***მშიშარა კაცზე საშინელი რა არის?***

–მშიშარა კაცი დიდებულმა ნობელიანტმა მწერალმა ჟოზე სარამაგუმ ქათამს შეადარა, რომელიც წიწილებს მელიას შეატოვებს საკუთარი კურტუმოს არ დაკარგვის შიშით!..

***მლიქვნელი ადამიანი მტერია?***

–მლიქვნელი ადამიანი მშიშარა ადამიანია, უღირსებო და კაცობა დაკარგული, რომელიც მლიქვნელობით აღწევს „რაღაცას“, მაგრამ ჰკარგავს უფლისმიერებას, სასაცილოდ იხდის თავს ყველას თვალში და დაუმარხავ მიცვალებულს ემსგავსება!..



***რა არის ის, რაც გულით გინდათ და ჯერ ვერ გააკეთეთ?***

–მინდა შევქმნა საგა კოლხეთზე, ხეთებით, შუმერებით, ჰალიძონებითა და იმ მწვერვალებით, რომლითაც დავიწყეთ ცივილიზაცია! ჩვენი ცამაღალი ღმერთი ოდოა დადიოდა პლანეტის გარშემო და აწესებდა მარადიული სიწმინდის შინამოს–და და ძმა ერთად არ დაწოლილიყვნენ და სისხლი რომ არ აემღვრიათ იმას! ეს გახლდათ სულიწმინდის ოცნებისად გადმოვანება!.. ყოველივე ამაზე უნდა დავწერო, ანუ შევქმნა საგა... თუ უფალი ინებებს, უთუოდ ავისრულებ ოცნებას!..

***როგორ ფიქრობთ, იმედი მართლა ბოლოს კვდება?***

–უცილოდ ბოლოს კვდება იმედი, თორემ ცხოვრება, სიცოცხლე უფრო ადრე დაემსგავსებოდა ჯოჯოხეთს, ვიდრე წერილ არსს!..

***რა არის ჭეშმარიტება?***

–ჭეშმარიტება დაწესებული უფლისმიერებაა, რომელიც გასაჩივრებასა თუ განხილვას არ ექვემდებარება!

***მაშინ სამშობლო თუ ჭეშმარიტება?***

–სამშობლო ხომ ჭეშმარიტებაა თავად!..

***რაზე ოცნებობთ?***

–უმთავრესად ჩემი ქვეყნის, ენისა და სარწმუნოების მარადისად ძლიერებაზე. ღვთისმშობლის წილხვედრი მამულის გაერთიანებაზე და ირგვლივეთის სიყვარულად ქცევაზე!...

***რას ნანობთ?***

–ვნანობ, რომ დავით აღმაშენებლობა არ შემიძლია...

***რა არის ოპტიმიზმი და პესიმიზმი?***

–ოპტიმიზმი და პესიმიზმი ჩემი აზრით, ონტოლოგიური ცნების საკითხვისნიშნო მდგომარეობებია, რომლებიც ადამიანთა შინაგანი სისავსისა თუ ნაკლულობის ბარომეტრია, ამავდროს საზომი იმისა, თუ რა ნიშნეული მკრთომელობით (კანტისებურად) არსებობენ ადამიანები! ისე, ცნობისთვის, მე ოპტიმისტი გახლავართ, ოღონდ კლასიკური გაგებით და არა ცკმუტავი იმედიანობით!..

***რამდენად ტრადიციული ბრძანდებით?***

–ტრადიცია ჩემთვის კულტურული იდენტობის ბალაბერია, რომელიც იმდენად ესაყდრისება თანამედროვეობასა და ცივილიზაციას, რამდენადაც ჩვენ ვართ ამისთვის მზად და აქეთკენ მიმართულები. ტრადიცია არა მარტო ყანწების ტრიალი და პირველი ღამის ქალიშვილური მენტალიზმია, არამედ არსებული ჭეშმარიტების გონივრული აღქმა, რომელიც ისე უნდა მიუნაგრო თანამედროვეობას, „ხინჯი რაიმე არა მიეზღოს რა!..“ ამიტომაც ვარ ტრადიცული, ყველა გონივრული მიდგომითა და გაგებით. დავსძენ იმასაც, რომ ოჯახური სიწმინდის აუცილებლობასთან ერთად, ვარ არც ისე ურიგო თამადა და ა. შ.

***ხართ თუ არა იდეალური მეუღლე?***

–ეს ჩემს მეუღლეს უნდა ჰკითხოთ, ისე მასთან ყოფნა და მისით გახარება ჩემთვის უმწვერვალესი ბედნიერებაა!..

***რა არის ოჯახი?***

–ოჯახი გახლავთ ეკლესია, სადაც შენს შინამოსთან ერთად ღვთიურდებიან ცოცხალი წმინდანები–წევრები შენი ოჯახისა!..

***მიზანი ამართლებს საშუალებას...***

–ეს ულმერთოთა უსაბამო მეტაფორაა...

***რა არის ღირსება?***

–ღირსება ჭეშმარიტების სხივოსნობაა...

***პოეზია–გატაცება თუ...***

–პოეზია მრავალთათვის გართობაა, ჩემთვის კი უმთავრესი პროფესია და ზენაარსთან საუბრის ერთადერთი საშუალება!..

***საყვარელი პოეტი?***

–რუსთაველი, გალაკტიონი, გრანელი, მანანა ჩიტიშვილი, გური ოტობაია, გიორგი სიჭინავა და კიდევ სხვანი... უცხოელებს არ შევეხები, ამაზე მერმის!..

***არსებობს თუ არა ცხოვრებაში ისეთი დაბრკოლება, რომლის გადალახვაც შეუძლებელია?***

–რაცა ღმერთსა არ უნდოდეს, არა საქმე არ იქნებისო, გვასწავლეს ბრძნულად და მეც ასე მგონია, თუ გისაგრა უფალმა ყველას და ყველაფერს მოერევი, დასძლევ და გადალახავ! რწმენა არ უნდა დაკარგოს კაცმა და რწმენაგატაძრებული ადამიანი ყოვლის შემძლეა, ვითარცა მეომარი ჭეშმარიტებისა!

***რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?***

–ერთ რამეს, ყველაზე დიდ დროს დავუთმობდი მწერლობას, ჭეშმარიტების ბოლომდე შეგრძნების ღვთიურ საშუალებას! დანარჩენი კი : „წავა დღეთა გაგრძელებად, როგორც სიყვარულის ზეცა!“

**ესაუბრა ნინო გერგაია.**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N35

2014 წლის 30 ოქტომბერი — ქ. ხობი

## „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.** „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2013 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016099) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **6.7 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ:**

**ა.) პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებები 6.7 ათასი ლარით (პროგრამული კოდი 01 00), კერძოდ:**

ა.ა) 6.7 ათასი ლარით მუნიციპალიტეტის გამგეობის (პროგრამული კოდი 01 02) ასიგნება, აქედან: 6,7 ათასი ლარი – მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

2. **„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:**

ა) „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ დამტკიცებული ასიგნებების ღონისძიებებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 სექტემბრის N593 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,9 ათასი ლარით შემცირდა ღონისძიების „სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის სამხარეო ადმინისტრაციის პროექტების მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილი საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის კულტურული ღონისძიებები“ ასიგნება, 0,6 ათასი ლარით - ღონისძიების „ლიტერატურული კაფე საღამო“ ასიგნება და 1,5 ათასი ლარი მიიმართა ღონისძიების „საგამომცემლო სახლ „ქართული ელიტის“ მიერ წმინდა ილია მართლის გაზეთ „ივერიის“ სახელობის პრემიის მეათე ტური“ ასიგნებაზე;

ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებისთვის“ დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 22 სექტემბრის N603 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,45 ათასი ლარით შემცირდა მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება და 0,45 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება;

გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 25 სექტემბრის N609 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,4 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“–ს მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება და 0.4 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ ასიგნება;

დ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთვის“ დამტკიცებული ასიგნებების ღონისძიებებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 ოქტომბრის N624 ბრძანებით შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 4,5 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნებებში ხეების სანიტარული ჭრის ასიგნება და 4,5 ათასი ლარით გადიდდა ქუჩების დაგვა-დასუფთავების ასიგნება;

ე) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 ოქტომბრის N625 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებულ ასიგნებებში 0,1 ათასი ლარით შემცირდა მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება და 0,1 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება;

ვ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 ოქტომბრის №630 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებულ ასიგნებებში 0,7 ათასი ლარით შემცირდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „თანამდებობრივი სარგო“ ასიგნება და 0,7 ათასი ლარი მიიმართა მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „პრემია“ ასიგნებაზე;

ზ) „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 ოქტომბრის N651 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ დამტკიცებულ ასიგნებებში 0,24 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება-ს მუხლის „მივლინებები“ ასიგნება, 0,38 ათასი ლარით -„საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება“ ასიგნება, 0,36 ათასი ლარით - „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების მასალების შეძენის ხარჯი“ ასიგნება, 0,2 ათასი ლარით-„საქონელი და მომსახურება“-ს „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნება, 0,2 ათასი ლარით–„საქონელი და მომსახურება“-ს „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სათადარიგო ნაწილები“ ასიგნება, 0,24 ათასი ლარით–„საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „რბილი ინვენტარი“ ასიგნება, 0,3 ათასი ლარით–მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება და 1,0 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნება, 0,23 ათასი ლარით–„საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კომუნალური ხარჯი“ ასიგნება, 0,04 ათასი ლარით –„საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საფოსტო მომსახურების ხარჯი“ ასიგნება, 0,65 ათასი ლარით–მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

თ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებების პროგრამებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 ოქტომბრის N652 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებში 10,0 ათასი ლარით შემცირდა პროგრამის „ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება“ ასიგნება და 10,0 ათასი ლარით გადიდდა პროგრამის „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის „ავადმყოფთა სოციალური დახმარება“ ასიგნება;

ი) „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის N659 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,8 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება (სპორტულ ღონისძიებების ხარჯები) და 0,8 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა–შენახვის ხარჯები“ ასიგნება.

3. **გამოთავისუფლებული ასიგნებები 6,7 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:**

**ა) პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებებზე 4,5 ათასი ლარი, კერძოდ:**

ა.ა) 4,5 ათასი ლარი პროგრამა „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)“ ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 03 01 01) ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნებაზე;

**ბ) პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 05 00) ასიგნებებზე 2,2 ათასი ლარი, კერძოდ:**

ბ.ა) 2,2 ათასი ლარი პროგრამის „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 05 04) „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნებაზე;

მუხლი 2. დადგენილების თავი I, თავი, II, თავი III დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3. დადგენილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

**ედიშერ ჯობავა,**
**საკრებულოს თავმჯდომარე**

➡ 8

დოკუმენტი

6

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2013 წლის 30 დეკემბრის 21 დადგენილებისა

# ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

## თავი I

### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა | | | 2014 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **8,820.7** | **8,188.5** | **2,131.6** | **6,056.9** | **8,535.7** | **2,888.2** | **5,647.5** |
| გადასახადები | 5,782.0 | 5,327.8 | 0.0 | 5,327.8 | 5,000.0 | 0.0 | 5,000.0 |
| გრანტები | 2,472.8 | 2,336.6 | 2,131.6 | 205.0 | 3,108.2 | 2,888.2 | 220.0 |
| სხვა შემოსავლები | 565.9 | 524.1 | 0.0 | 524.1 | 427.5 | 0.0 | 427.5 |
| **ხარჯები** | **5,666.6** | **6,811.5** | **443.7** | **6,367.8** | **6,585.2** | **780.0** | **5,805.2** |
| შრომის ანაზღაურება | 1,674.0 | 1,964.0 | 0.0 | 1,964.0 | 1,766.5 | 0.0 | 1,766.5 |
| საქონელი და მომსახურება | 807.1 | 1,510.2 | 443.7 | 1,066.5 | 1,808.3 | 777.2 | 1,031.1 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **პროცენტი** | **185.7** | **108.1** | **0.0** | **108.1** | **97.0** | **0.0** | **97.0** |
| სუბსიდიები | 2,711.6 | 2,995.0 | 0.0 | 2,995.0 | 2,709.5 | 0.0 | 2,709.5 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **სოციალური უზრუნველყოფა** | **288.2** | **234.2** | **0.0** | **234.2** | **201.1** | **0.0** | **201.1** |
| სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2.8 | 2.8 | 0.0 |
| საოპერაციო სალდო | 3,154.1 | 1,377.0 | 1,687.9 | -310.9 | 1,950.5 | 2,108.2 | -157.7 |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **2,368.9** | **2,364.4** | **1,764.3** | **600.1** | **1,793.3** | **1,886.6** | **-93.3** |
| **ზრდა** | **3,499.7** | **2,667.4** | **1,764.3** | **903.1** | **1,954.0** | **1,886.6** | **67.4** |
| **კლება** | **1,130.8** | **303.0** | **0.0** | **303.0** | **160.7** | **0.0** | **160.7** |
| **მთლიანი სალდო** | **785.2** | **-987.4** | **-76.5** | **-911.0** | **157.2** | **221.6** | **-64.4** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **579.4** | **-1,088.9** | **-76.4** | **-1,012.4** | **42.7** | **221.6** | **-178.9** |
| **ზრდა** | **837.3** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **221.6** | **221.6** | **0.0** |
| **ვალუტა და დეპოზიტები** | **837.3** | **0.0** | | | **221.6** | **221.6** | |
| | ხარჯები | 1,021.6 | 1,236.3 | 0.0 | 1,236.3 | 1,210.9 | 0.0 | 1,210.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 29.5 | 4.7 | 3.8 | 0.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 644.0 | 836.7 | 3.8 | 832.9 | 863.3 | 0.0 | 863.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 622.8 | 832.0 | 0.0 | 832.0 | 863.3 | 0.0 | 863.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 21.2 | 4.7 | 3.8 | 0.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 02 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 49.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 41.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 03 | ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი" | 273.5 | 309.6 | 0.0 | 309.6 | 266.9 | 0.0 | 266.9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 273.5 | 309.6 | 0.0 | 309.6 | 266.9 | 0.0 | 266.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 04 | პროფესიული განათლება | 84.3 | 94.7 | 0.0 | 94.7 | 80.7 | 0.0 | 80.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 84.3 | 94.7 | 0.0 | 94.7 | 80.7 | 0.0 | 80.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0500 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 962.0 | 1,026.-4 | 0.0 | 1,026.4 | 867.5 | 0.0 | 867.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 956.6 | 1,026.4 | 0.0 | 1,026.4 | 867.5 | 0.0 | 867.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 442.3 | 470.8 | 0.0 | 470.8 | 428.5 | 0.0 | 428.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 442.3 | 470.8 | 0.0 | 470.8 | 428.5 | 0.0 | 428.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 18.5 | 27.8 | 0.0 | 27.8 | 22.5 | 0.0 | 22.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 18.5 | 27.8 | 0.0 | 27.8 | 22.5 | 0.0 | 22.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 02 | ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები | 326.6 | 324.7 | 0.0 | 324.7 | 292.5 | 0.0 | 292.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 326.6 | 324.7 | 0.0 | 324.7 | 292.5 | 0.0 | 292.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 03 | სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები | 14.7 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 14.7 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 04 | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | 82.5 | 103.3 | 0.0 | 103.3 | 98.5 | 0.0 | 98.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 82.5 | 103.3 | 0.0 | 103.3 | 98.5 | 0.0 | 98.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 505.9 | 540.2 | 0.0 | 540.2 | 419.0 | 0.0 | 419.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 500.5 | 540.2 | 0.0 | 540.2 | 419.0 | 0.0 | 419.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 01 | კულტურის ცენტრი | 451.6 | 459.1 | 0.0 | 459.1 | 368.2 | 0.0 | 368.2 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 446.2 | 459.1 | 0.0 | 459.1 | 368.2 | 0.0 | 368.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 02 | ძეგლთა დაცვის ხარჯები | 10.1 | 31.7 | 0.0 | 31.7 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 10.1 | 31.7 | 0.0 | 31.7 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 03 | კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება | 0.4 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.4 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 04 | ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 43.8 | 47.4 | 0.0 | 47.4 | 35.8 | 0.0 | 35.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 43.8 | 47.4 | 0.0 | 47.4 | 35.8 | 0.0 | 35.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0503 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 12.2 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 12.2 | 13.0 | 0.0 | 13.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0504 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 1.6 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1.6 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 497.6 | 435.1 | 0.0 | 435.1 | 408.2 | 0.0 | 408.2 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 492.3 | 435.1 | 0.0 | 435.1 | 408.2 | 0.0 | 408.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 79.1 | 91.5 | 0.0 | 91.5 | 108.9 | 0.0 | 108.9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 79.1 | 91.5 | 0.0 | 91.5 | 108.9 | 0.0 | 108.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 | ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა | 46.8 | 19.0 | 0.0 | 19.0 | 14.6 | 0.0 | 14.6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 46.8 | 19.0 | 0.0 | 19.0 | 14.6 | 0.0 | 14.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 274.2 | 234.6 | 0.0 | 234.6 | 209.7 | 0.0 | 209.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 268.9 | 234.6 | 0.0 | 234.6 | 209.7 | 0.0 | 209.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 01 | ავადმყოფთა სოციალური დახმარება | 129.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 129.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

13

13 <<<<<<<<<<<<<<

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 02 | **სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)** | **2.6** | **5.0** | **0.0** | **5.0** | **3.0** | **0.0** | **3.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 2.6 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 03 | **ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება)** | **6.9** | **10.0** | **0.0** | **10.0** | **2.7** | **0.0** | **2.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 6.9 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 2.7 | 0.0 | 2.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 04 | **მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედმამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **12.9** | **15.0** | **0.0** | **15.0** | **13.8** | **0.0** | **13.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 12.9 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 13.8 | 0.0 | 13.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 05 | **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება** | **86.1** | **91.6** | **0.0** | **91.6** | **83.6** | **0.0** | **83.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 80.8 | 91.6 | 0.0 | 91.6 | 83.6 | 0.0 | 83.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 06 | **ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **29.8** | **35.0** | **0.0** | **35.0** | **45.0** | **0.0** | **45.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 29.8 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 45.0 | 0.0 | 45.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 07 | **უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება** | **6.9** | **8.0** | **0.0** | **8.0** | **6.0** | **0.0** | **6.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 6.9 | 8.0 | 0.0 | 8.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **88.5** | **50.0** | **0.0** | **50.0** | **55.0** | **0.0** | **55.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 88.5 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **9.0** | **40.0** | **0.0** | **40.0** | **20.0** | **0.0** | **20.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 9.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N37

**2014 წლის 30 ოქტომბერი** **ქ. ხობი**

## მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის" თანდართული ფორმა (დანართი 1).

**მუხლი 2**. დამტკიცდეს თანდართული „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (დანართი 2).

**მუხლი 3.** დამტკიცდეს გამოსაყენებლად უვარგისი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის თანდართული ფორმა (დანართი 3).

**მუხლი 4**. დამტკიცდეს თანდართული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის თანდართული ფორმა (დანართი 4).

**მუხლი 5.** დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის რეგისტრაციის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 6.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 მაისის N18 დადგენილება.

**მუხლი 7**. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ელიშერ ჯობავა,**
**საკრებულოს თავმჯდომარე**

**დანართი 1**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N37 დადგენილებისა**

### მოწმობის პირველი გვერდი:

**დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N37 დადგენილებით**
**ხობის მუნიციპალიტეტი**

**მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობა**

ნებართვა N--------------------

ნებართვის გაცემის თარიღი: 201 წლის ------- ------------------------------
ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი: 201 წლის ------- ------------------------------
ნებართვა ძალაშია: 201 წლის -------- ----------------------------- - მდე

ნებართვის მფლობელი: ----------------------------------------------------------------------------------------------------
(დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები)

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
(მისამართი)

სამშენებლო ობიექტი----------------------------------------------------------------------------------------------------
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
(შენობა-ნაგებობის კლასი და მისამართი, ადგილმდებარეობა)

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
(მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი)

პროექტი შეთანხმებულია:------------------------------------------------------------------------------------------
(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება)

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
(მისამართი)

**ნებართვის გამცემი ორგანო:** ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური***

**ნებართვის გაცემის საფუძველი:** ***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 201 წლის --- ---ბრძანება№.***

>>>>>>>>>>>> 14

13 <<<<<<<<<<<<<<<<<

მოწმობის მე-2 გვერდი:

სანებართვო პირობები:-----------------------------------
------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------

სანებართვო მოწმობის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:----------------------------------------------------

სანებართვო მოწმობაზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი: ---------------------------------------------

(სახელი, გვარი)

------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------

(თანამდებობა)

ბ. ა. ----------------------------------------------

(ხელმოწერა)

დამკვეთი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემსრულებელი:
სფს-ს რეგისტრაციის N

## დანართი 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 30 ოქტომბრის N37 დადგენილებისა

### მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (შემდგომში – „წესი“) შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე.

2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის (შემდგომში – „სანებართვო მოწმობა“) ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური (შემდგომში–„სამსახური“) საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.

**მუხლი 2. სანებართვო მოწმობის ფორმებით მომარაგება**

1. სანებართვო მოწმობის ფორმებით მომარაგებას სამსახური ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სანებართვო მოწმობის ფორმების შეკვეთა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ პოლიგრაფიულ საწარმოში.

3. პოლიგრაფიული საწარმოდან სანებართვო მოწმობის ფორმების გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

**მუხლი 3. სანებართვო მოწმობის ფორმების შენახვა**

1. სანებართვო მოწმობის ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

2. სანებართვო მოწმობის ფორმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში.

3. სათავსი, სადაც ინახება სანებართვო მოწმობის ფორმები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

4. სანებართვო მოწმობის ფორმები ინახება ამ ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან.

**მუხლი 4. სანებართვო მოწმობის ფორმების შევსება**

1. სანებართვო მოწმობის ფორმების შევსებას სამსახური აწარმოებს სანებართვო მოწმობის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომში - „გამგებელი“) მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.

2. სანებართვო მოწმობის ფორმების შევსებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციით.

3. სანებართვო მოწმობის ფორმა, შევსების შემდგომ მოწმდება სამსახურის უფროსის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით.

4. შევსებული ფორმების შესახებ ინფორმაცია შეიტანება სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალში.

**მუხლი 5. სანებართვო მოწმობის გაცემა**

1. სანებართვო მოწმობას გასცემს სამსახური, სანებართვო მოწმობაზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირის მხრიდან დამოწმებისა და სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალში სათანადო მონაცემების შეტანის შემდგომ.

2. სანებართვო მოწმობის გაცემა ნებართვის მაძიებელზე წარმოებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

3. სანებართვო მოწმობის გაცემა მესამე პირზე ხდება ნებართვის მაძიებლის მიერ გაცემული მინდობილობისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში (მინდობილობა რჩება ადგილზე).

4. ნებართვის მაძიებელი ან მესამე პირი ნებართვის მოწმობის მიღების ფაქტს ხელმოწერით ადასტურებს ნებართვის გამცემის მიერ წარმოებულ სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალში.

5. გაცემული ფორმების ქსეროასლი, დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ, ინახება ნებართვის მაძიებლის პირად საქმეში.

**მუხლი 6. სანებართვო მოწმობის დუბლიკატების გაცემა**

1. სანებართვო მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში სამსახური გასცემს დუბლიკატს, მფლობელის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

2. ნებართვის მფლობელმა სანებართვო მოწმობის დუბლიკატის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სანებართვო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებლის დამადასტურებელი საბუთი.

3. გაცემულ დუბლიკატს დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“.

4. ნებართვის გამცემს დუბლიკატის გაცემის შესახებ ინფორმაცია შეაქვს სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალში გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

**მუხლი 7. სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალი**

1. სამსახური სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალს (შემდგომში – „აღრიცხვის ჟურნალი“) აწარმოებს ყოველი კალენდარული წლისათვის.

2. აღრიცხვის ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. აღრიცხვის ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იყოს ზონარგაყრილი. ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება სამსახურის უფროსის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით.

3. აღრიცხვის ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება მუქი ფერის კალმით.

4. აღრიცხვის ჟურნალში ჩანაწერის წაშლა, ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით დაუშვებელია. აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში – „შენიშვნა“ ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს (მაგალითად: „შესწორებულია მე-4 და მე-7 გრაფები“ (თარიღი, ხელმოწერა, გვარი და სახელი)).

5. დასაშვებია ნებართვების აღრიცხვა აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონულ ვერსიაში, რომლის წერილობითი ფორმით ამობეჭდვა უნდა მოხდეს ყოველი წლის ბოლოს. აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონული ვერსიის მიმართ ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები ვრცელდება მისი წერილობით ფორმით ამობეჭდვის შემდეგ.

6. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში აღრიცხვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება აღრიცხვის ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს აღრიცხვის ჟურნალის გაგრძელებას.

7. კალენდარული წლის ბოლოს, აღრიცხვის ჟურნალში ყველა სანებართვო მოწმობის ფორმის რეგისტრაციის შემდეგ სამსახური აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული სანებართვო მოწმობის ფორმის საერთო რაოდენობის შესახებ.

8. აღრიცხვის ჟურნალი ინახება მის წარმოებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულში/ქვედანაყოფში მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. მითითებული ვადის გასვლის შემდეგ იგი აღწერით ბარდება არქივს.

9. აღრიცხვის ჟურნალის შენახვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აღრიცხვის ჟურნალის და მასში ასახული მონაცემების დაცულობა.

10. აღრიცხვის ჟურნალი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სამსახურში სანებართვო მოწმობის ფორმების მიღებაზე, გაცემაზე და შესაბამისი ფორმით აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი (პირები) განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით.

**მუხლი 8. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ჩამოწერა**

1. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების ჩამოწერას ახორციელებს საგანგებოდ შექმნილი კომისია.

4. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## დანართი 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 30 ოქტომბრის N37 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური**

**აქტი N**

**გამოსაყენებლად უვარგისი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის შესახებ**

**201 წლის ------------**

| № | საქმეთა დასახელება | რაოდენობა | ფორმის ექსკლუზიური ნომრები |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |
| | | | |
| | | | |

ხელმოწერით ვადასტურებთ უვარგისი სანებართვო მოწმობების ჩამოწერის სისწორეს:

კომისიის თავმჯდომარე: -------------------------------
(სახელი, გვარი)
-------------------------------- (ხელმოწერა)

კომისიის წევრები-----------------------------------------
(სახელი, გვარი)
-----------------------------(ხელმოწერა)
------------------------------------------
(სახელი, გვარი)
-----------------------------(ხელმოწერა)

ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი:--------------------------------------
(სახელი, გვარი)
----------------------------(ხელმოწერა)

## დანართი 4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 30 ოქტომბრის N37 დადგენილებისა

**მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა**

| № | სანებართვო მოწმობის № | ბრძანების № და თარიღი | სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი | ნებართვის ვადა | ნებართვის მიმღების დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები | ნებართვის მიმღების მისამართი | ნებართვის მიმღების ხელმოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

# მასწავლებელი მოძღვრავს ერს



*მოდის საქართველო ამაყი, ბრძენი*
*რწმენის ცისარტყელა*
*ჩანგივით ჟღერს*
*თოვლივით თეთრი, ნათელი*
*წრფელი*
*მასწავლებელი წინამძღვრობს*
*ერს!*

როცა ამ თემაზე წერ, უფალი გალაპარაკებს საოცარ სიტყვებს..., რადგან მასწავლებლობა მართლაც, საოცრებაა, რომელსაც შემოაქვს სიხარული, სიყვარული, სიკეთე, ცოდნა, ის ჭეშმარიტი ქრისტიანია, სამართლიანი, გულისხმიერი, მიმტევებელი, განა ეს ყველას შეუძლია?

მასწავლებლობა სულიდან გადმოსული სიყვარულია, მისი სულიერი სამყარო სიკეთის კეთებაა. ის არამიწიერი არსებაა. მისი სული უსასრულო ბაღია, რომელშიც მხოლოდ ვარდები ხარობენ და ეს ვარდები მოსწავლები არიან. მასწავლებლობა პროფესია კი არაა, არამედ ღვთის მიერ მომადლებული მადლია, მისთვის უწმიდესი და უნეტარესი სკოლა და მოსწავლეებია, მასწავლებლობა სიმაღლეა, სისუფთავეა, უდიდესი საუნჯეა, ის რასაც აკეთებს ღვთის ნებაა.

მასწავლებელი მოძღვარია, ის თავისი აღზრდილებით ისწრაფვის მარადიული სივრცისკენ, ახლად ცხოვრების ახალშობისკენ, რათა ეზიაროს მოსწავლეებთან ერთად ჭეშმარიტებას. ის არის ვარგისი ხე, რომელსაც ვარგისი ნაყოფის გამოღება შეუძლია, ხეს კი ნაყოფით იცნობენ. მასწავლებელი სანთელივით იწვის და სხვას უნათებს, ის არის ერის ღირსება, რომელიც ქრისტეს გზით მიდის და მიჰყავს თავისი აღზრდილები. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“-ეს მასწავლებელზეა თქმული, სწორედ, მასწავლებელი ის განძია, რომელსაც შეუძლია გასცეს თავისი ცოდნა.

მე შემიძლია გამოვძერწო მასწავლებლის სახე: ის მუდამ მოსწავლეებთანაა, ესაუბრება, რჩევებს, დარიგებას აძლევს მას. ასწავლის სიყვარულს, სიკეთეს, რწმენას, სამშობლოს სიყვარულს, ეროვნულ თავისუფლებას. ის არის უფლის ერთგული მსახური, რადგან ის გვასწავლის პატიოსნებას, ის ანგელოზია. მას შეუძლია სულგრძელობა „აქვს პატიების ნიჭი, ის არის მოყვასი ჩვენი, რომელიც ყოველთვის ჩვენს წინაშეა, მას გააჩნია გულმოწყალება, ზნეობრივი სიმაღლე, ის სრულყოფილი ადამიანია, თავი და ბოლო ცხოვრებისა... ის მწყემსი კეთილია, რომელსაც შეუძლია თავისი სული დადოს ცხოვართათვის და ეს ცხოვარნი მოწაფეები არიან. მასწავლებელი უკეთეს ცხოვრებას იმსახურებს. „ერი, რომელიც მასწავლებლის ღირსებას იცავს, უკვდავია და უძლეველი, ხოლო ერი, რომელიც მასწავლებელს არ სცემს პატივს განწირულია.“

მასწავლებელი! როგორც ვაჟა-ფშაველა წერდა:

*„მასწავლებლისა ბედზედა*
*მრავალჯერ დამიკვნესია,*
*ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,*
*თესლი კეთილი სთესია*
*რა ვუყოთ მასწავლებელი*
*დღეს არა ფასობს ჩვენშია.*
*სული გასუქდეს ისა სჯობს,*
*ვიდრე გასუქდეს ლეშია...“*

მასწავლებელი! რამდენი პოეტი, მეცნიერი, მოღვაწე, რამდენი სახელგანთქმული ადამიანი იგონებს მას თავის მემუარებში. აი, თუნდაც ჩვენი დიდი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“ და ა.შ.

ჩემი გულიდან არასდროს ამოიშლება იოსებ ოცხელის ნათელი ხსოვნა –წერს ქუთაისის გიმნაზიის წლებზე კონსტანტინე გამსახურდია. ის ლაპარაკობს მის კაი კაცობაზე, მის მზრუნველობაზე. იმაზე, თუ როგორ უყვარდა მას თავისი მოწაფეები. იოსებ ოცხელის მოწაფეთაგან შვიდი აკადემიკოსი მოღვაწეობდა თბილისში და სწორედ, მათ თავიანთი სახსრებით ძეგლი დაუდგეს საყვარელ მასწავლებელს, იოსებ ოცხელს ქუთაისში.

მასწავლებელი თავისი ცხოვრების ნახევარს სკოლაში ატარებს... მისი წასვლა სკოლიდან ტკივილით სავსეა. ვერ ეგუება სკოლის გარეშე ცხოვრებას. მე ბევრი მასწავლებელი მინახავს

ცრემლიანი თვალებით რომ მიდიოდა სკოლიდან. 15 ოქტომბერს 48 წლის მუშაობის შემდეგ სკოლიდან გავაცილეთ მათემატიკის მასწავლებელი , ქალბატონი მერი თაკვარელია.

მერი მასწავლებელი ჩემი დამრიგებელი და მათემატიკის მასწავლებელი... მახსოვს მისი მოსვლა სკოლაში. ლამაზი და ეშხიანი... მინდა გითხრათ, რომ ის დაიბადა და გაიზარდა თბილისის გამორჩეულ უბანში.

ქალბატონ მერიმ 1962 წელს დაამთავრა სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1968 წელს, ამავე წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საჯარო სკოლაში, სადაც დღემდე მუშაობდა.

დედაქალაქში, ავლაბარში, გაზრდილი ქალბატონი ადვილად შეეჩვია აქაურობას, თავიდან ხობის არსებობა არც ვიცოდიო, -იხსენებს ის, მაგრამ ისე შეეჩვია, რომ ბოლოს თბილისში გაჩერებაც უჭირდა... იყო ღირსეული ადამიანის ერგულ ებანოიძის არაჩვეულებრივი მეუღლე, არის მოსიყვარულე და თავდადებული დედა და საყვარელი მასწავლებელი... ბედნიერებაა ის, რომ, როცა სკოლიდან მიდიხარ და გეფერებიან, ლამაზ სიტყვებს გიძღვნიან საყვარელ ლექსებს გიკითხავენ ან გიწერენ, გიმღერენ, სცენარს წერენ და შენს გაკვეთილებს განასახიერებენ... ამ დროს გული სიხარულით გევსება და თან თვალებიდან ცრემლები მოდის. ტკივილსა და სითბოს ერთად გრძნობ, მასწავლებლებიც სიყვარულს და ტკივილს გამოხატავდნენ თავიანთ გამოსვლებში. მისგან ინტერვიუებს იღებდნენ, აკეთებდნენ ჩანაწერებს. ...იღებდნენ ვიდეოს, სურათებს, ამზადებდნენ გაზეთისთვის მასალებს, მე, როგორც თქვენი მოსწავლე, გულის სიღრმეში ვინახავ თქვენს ამაგს თქვენს დიდ ღვაწლს და სულ მინდა ამ დიდ ადამიანებზე ვილაპარაკო და ვწერო მოგონებები. ეს სიტყვები თქვენ გეძღვნებათ მერი მასწავლებელო, მეც ვცდილობ ძეგლი დავუდგა ჩემს მასწავლებლებს, ისინი დიდებული ადამიანები არიან და ამ დიდებულ ადამიანებს სიცოცხლეში დავუდგათ ძეგლი–აი, ეს იყო პირველი მაისის საჯარო სკოლის (დირექტორი კობა კვიკვინია) პროექტი „მასწავლებელი“, რომელიც მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ (მასწავლებლები-ნინელი ხუხია და ნინო ცხადაია).

**ქრისტესმიერი სიყვარულით თქვენი მოსწავლე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი**

**ნინელი (მზია) ხუხია**

---

სულთათანა

# ნათია ცატავა, ნინო და კოკა კაკულიები




რატომ?

რისთვის იყო საჭირო ამისთანა მსხვერპლი?

ამ კითხვებზე პასუხის ძებნასა და უსაშველო ტკივილში მიილია ერთი წელი..

და კვლავ ცრემლების და ყვავილების ზღვამ დაფარა გზა სახლიდან სასაფლაომდე...

კოკა, ნათია, ნინო და ანასტასია..

პოეტს უთქვამს: ალბათ სიცოცხლე სიკვდილისთვის მოსაცდელიაო.

ვაი, რომ ეს მოსაცდელი ანასტასიასთვის სულ რამდენიმე დღე იყო, ნინოსთვის–წელიწადნახევარი, ხოლო სიცოცხლესა და ერთმანეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდებისთვის მხოლოდ ოცდახუთი წელი...

თუმცა მათ შეძლეს და ეს გზა საუკუნეს გაუტოლეს, ღმერთისა და კაცის წინაშე ვალი ღირსეულად მოიხადეს და ბოლო ამოსუნთქვით, ტერენტი გრანელის სიტყვები შეგვახსენეს: „დავტოვებ მიწას, ცის კიდეზე ვიპოვი ბინას“.

ამის პასუხად იქუხა სოფელმა!

–არა! არა!

სამწუხაროდ, უშედეგოდ!

და იმ ადგილას, იმ დროს, ერთი წლის ინტერვალით, ისევ შეიკრიბა „ხალხი, რომელმაც დაითვალა ბოლო წამები, ხალხი, რომელიც ვერ ებრძოდა გარდაცვალებას“. ისევ შეიკრიბა, რადგან ვერ ეგუება ცხოვრებას საოცრად ლამაზი ადამიანების, თითით საჩვენებელი, ბედნიერი ოჯახის გარეშე, უჭირს ტკივილადქცეული მონატრების გაძლება, ვერ პასუხობს შავოსან დედებს, დამწუხრებულ ძმებს, დარდისგან მხრებჩამოყრილ მამას, ბოლოსდაბოლოს, მას არ უნდა დაერქვას სიკვდილთან დამარცხებული.

თუმცა ეს არ იყო სიკვდილის გამარჯვება! ამას მოწმობს სასაფლაოს შესასვლელთან აღმართული ულამაზესი წყარო, როგორც სიმბოლო არდავიწყებისა და ცხოვრების გაგრძელებისა! კოკა და ნათიას ცხოვრება კი თავიანთ შვილებთან ერთად გრძელდება... სხვა განზომილებაში, ჩვენთვის უხილავ სამყაროში...

მათთან ერთად ჩვენ მხოლოდ წარსულში დავრჩით. ვიხსენებთ, ვბჭობთ და ვთანხმდებით: კოკა და ნათიას სახელი, მათი განვლილი გზა, თითოეული დღე მხოლოდ გასახსენებელი კი არა, ღრმად ჩასაფიქრებელი და სამაგალითოა.

ამ პატარა გოგო-ბიჭმა როგორ შეძლო ასეთი სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება?

პასუხი მარტივია: კოკა და ნათიამ მოახერხეს ეცხოვრათ ბრაზის, შურის, ბოროტების, განკითხვის გარეშე, ქვეყნად არ დარჩენიათ მომდურავი კი არა, უბრალოდ განაწყენებული ადამიანი. მოახერხეს ყოფილიყვნენ საუცხოო შვილები, ერთგული მეგობრები და მეზობლები, საიმედო ნაცნობები, კოლეგები. მათი სიყვარულიც კი განსხვავებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი, სამაგალითო და არაჩვეულებრივი იყო.

ამ არაჩვეულებრივ სიცოცხლეს განსვლაც არაჩვეულებრივი მოჰყვა, უეცარი, ერთდროული... მთელი სოფლისთვის ზარის დამცემი.

ერთად განსვლასაც თავისი ახსნა აქვს: ვინც მათ იცნობდა, ყველამ იცის, კოკა და ნათია ან ერთად უნდა გადარჩენილიყო, ან ერთად უნდა გაცლოდა წუთისოფელს. ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ შეძლებდნენ სიცოცხლის გაგრძელებას. ვერც შვილს ანდობდნენ ვინმეს, თუნდაც ბებიებს.

ალბათ ამიტომაც დღეს ოჯახი ერთად არის... ზეციურ საქართველოში.

ტრაგედია ჩვენთვის არის მათ გარეშე ცხოვრება, ეს ჩვენ გვაკლია კოკა კაკულიას ოჯახის ნათელი სხივი, ასე რომ გვილამაზებდა რთულ ცხოვრებას, უფერო ყოველდღიურობას.

„ამ ცხოვრების დასასრულს, ვფიქრობ, უსამართლოდ უწოდებენ სიკვდილს. უფრო სწორი იქნება... ვუწოდოთ ხრწნილებისგან გათავისუფლება, მონობის დასასრული, მღელვარებათა შეწყვეტა, ბრძოლათა აღკვეცა, წყვდიადისგან გამოსვლა, მოსვენება შრომათაგან, თავშეფარება სირცხვილისაგან“– ბრძანებდა მაქსიმე აღმსარებელი.

ცათა სასუფეველი წუთისოფლის ამაოებათაგან თავისუფალ კოკას, ნათიას, ნინოს და ანასტასიას!

***მანანა ნაჭყებია***

---

# თეიმურაზ ხუხია



„ნუ გეშინია სიკვდილის, სდიე უფალს და ჰყავ სიტკბოება, რათა დაემკვიდრო ქვეყანას“. სიკვდილის ნამდვილად არ გეშინოდა, უფლის რწმენით ცხოვრობდი, მაგრამ წუთისოფელი მეტად ცუდია, რადგან სიკვდილი არავის არჩევს, ის ერთგვარად მუსრავს მეფეს და მონას... ადამიანები, ვინც ერთხელ დახუჭა თვალი, უკან არავინ დაბრუნებულა.. ცუდია წუთისოფელი, რადგან, რომ კვლავ სიცოცხლე ისურვოს კაცმა, შეუძლებელია. თუმცა, ვინც ღმერთს უყვარს, ადრე კვდებაო, ნეტა რატომ კვდებიან ღვთის შექმნილი ადამის ძენი, რატომ არ გვანიჭებს უფალი უკვდავებას... გულსატკენია, რომ წახვედი ჩვენგან, მხოლოდ 54 წელი იცხოვრე... ქალაქ სამტრედიაში დაბადებულ და გაზრდილ ბიჭს სოფელი გიყვარდა, მამისეული სახლი შენთვის ძვირფასი იყო, გიყვარდა აქაურობა...სამტრედიის N1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტიც დაამთავრე, მოკლე დროში იმუშავე ვანის ალკკ რაიკომის პირველ მდივნად, 1990-93 წლებში სწავლობდი გორკის უმაღლეს პარტიულ სკოლაში. 1993 წლიდან კი ნიჟნი ნოვგოროდში სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობას ეწეოდი. ცხოვრება გიყვარდა, მაგრამ მოურჩენელმა ავადმყოფობამ სიცოცხლე წაგართვა, გეგონა დაამარცხე, მაგრამ ამაოდ, ბოლოს აქაურობა მოგენატრა, იგრძენი მოახლოებული სიკვდილი და ჩამოხვედი საქართველოში... სოფელში ცხოვრება გადაწყვიტე. ტკბებოდი აქაურობით. იმედით შეჰყურებდი ცხოვრებას. რამოდენიმე თვე არ გიგრძვნია ავადმყოფობა, ბოლოს უძლურება იგრძენი... ებრძოდი ავადმყოფობას... ცუდად გათენდა 4 ნოემბერი, შენ წახვედი ჩვენგან , ჭკვიანი, მოსიყვარულე, სიცოცხლით სავსე ადამიანი. ტკივილი დაუტოვე ყველას, შენს ერთადერთ დას, ციცინოს. მოგიგონებთ, არასდროს დაგივიწყებთ... რწმენით ცხოვრობდი და აუცილებლად დაიმკვიდრებდი ქვეყანას. მშვიდად იძინე უფალთან.

**ნინელი (მზია) ხუხია**

## ინტელექტშოუ

# „ვიდგეთ იქ, სადაც ჩვენი ადგილია

ინტელექტი ის ძალაა, რომლის გარღმავებაზეც ყოველი ადამიანი ზრუნავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ვერ დაიკვეხნის ამ სფეროში რჩეულობას. ამიტომაც გახლავთ ასე პოპულარული ზოგადად ინტელექტთამაშები და მათ შორის თამაში: „რა? სად? როდის?“

ჩვენი სამსახურის ხელმძღვანელობით, წლების მანძილზე, ინტელექტთამაშების სხვადასხვა ფორმა წარმოგვიდგენია საზოგადოებისთვის. ბოლო 2 წელია, ინტელექტუალური დონის ამაღლება, რისთვისაც პროექტის მომზადებისას შეირჩა კითხვები სხვადასხვა სფეროდან. თითოეული გუნდის წევრი ერთმანეთთან დამეგობრების მუხტით შევკარით და თამაშმა მიიღო არა მარტო შეჯიბრის, არამედ კოლეგიალობის, თანამშრომლობის სახე. თამაშს არბიტრობდა საპატიო ჟიური შემდეგი შემადგენლობით: გამგებლის მოადგილე- ბატონი მახარე ჩოკორაია, კულტურის სამსახურის უფროსი- ქალბატონი- როზეტა შულაია, სოციალუ-

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ბატონი გოჩა ქაჯაია და ბატონი ედიშერ ჯობავა მისასალმებელი სიტყვებით წარდგნენ საზოგადოებისა და ახალგაზრდების წინაშე და მათ ინტელექტუალიზმის გაღვივებისა და მისი სწორად განვითარების სამსახურში მეტი ჩართულობისკენ მოუწოდეს. ცოდნა და განათლება არის ის საყრდენი, რაზედაც უნდა განვავითაროთ ჩვენი ხვალინდელი დღის წარმატებულობა- აღნიშნეს ხელმძღვანელმა პირებმა და ამ შემართების



რი სამსახურის უფროსი- ქალბატონი შოლინა კანკია, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე- ქალბატონი დალი გერგაია, პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი- ბატონი მალხაზ იოსავა, განათლების ცენტრის დირექტორი- ქალბატონი ხათუნა ხორავა, კულტურის ცენტრის დირექტონი ბატონი ბეჟან ნადარაია და სპორტისა და ახლგაზრდულ საკითხების განყოფილების უფროსი.

ახალგაზრდების თხოვნის საფუძველზე, შევარჩიეთ ფორმატი „რა? სად? როდის? რომელიც წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე თამაშები გაიმართა ზონებში (საჯიჯაოში, ხობში, პირველ ხორგაში, ქვემო ქვალონსა და პირველ მაისში), ხოლო მეორე ეტაპზე ფინალური თამაშები შედგა ზონებში გამარჯვებული გუნდების მონაწილეობით. წელს ინტელექტთამაშებში 19 სოფელი იღებდა მონაწილეობას. საჯიჯაოს ზონიდან ფინალურ თამაშში მონაწილეობის უფლება მიიღო ახალი ხიბულის გუნდმა „ჰელადოსმა“, ხობის ზონიდან–ხობის გუნდმა „ლაზიერმა“, ქვალონის ზონიდან ქვალონის გუნდმა- „ჭყონდიდმა“, პირველი მაისის ზონიდან ხამისქურის „ჯიხამ“, პირველი ხორგის ზონიდან- პირველი ხორგის გუნდმა „ლაზარემ“.

პროექტმა მიზნად დაისახა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების

თამაშის მიმდინარეობისას დასმული იყო 12 კითხვა. ყველაზე მეტი სწორი პასუხით „რა? სად? როდის?“ ინტელექტშოუს გამარჯვებული გახდა ხამისქურის გუნდი „ჯიხა“ და მან, შესაბამისად, პირველი ადგილი დაიკავა. ხობისა და ახალი ხიბულის ინტელექტგუნდებს თანაბარი ქულების დაგროვების გამო მოუწიათ დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა მე-2 და მე-3 ადგილის მფლობელები. მე-2 ადგილზე გავიდა ახალი ხიბულის გუნდი „ჰელადოსი“, ხოლო მე-3 ადგილი წილად ხვდა ხობის ინტელექტგუნდს– „ლაზიერს“.

ფონზე გამარჯვებული გუნდები საინტერესო წიგნებითა და სიგელებით დააჯილდოვეს. სპეციალური პრიზი-ბუ- ბატონმა გოჩა ქაჯაიამ გადასცა პირველი ადგილის მფლობელებს და ამით ხაზი გაესვა კიდევ ერთხელ ხამისქურის „ჯიხას“ წარმატების მნიშვნელობას.

საინტერესო, ტექნიკურად და სწორად გამართული, ორგანიზებული სანახაობა სამწუხაროდ, ვერ ნახა საზოგადოების ფართო ნაწილმა, თუმცა მასპინძლები საამისოდ მზად ვიყავით...

ეს განსაკუთრებული თემაა მსჯელობისათვის–რატომ ვერ ესწრებოდა საზოგადოების დიდი ნაწილი ღონისძიებას? გვესმის, რომ სამუშაო დროა, მაგრამ სოფელს ან დაწესებულებას, რომელსაც გუნდი გამოჰყავს საასპარეზოდ, 10-20 კაცი მაინც უნდა ჰყავდეს გულშემატკივარი( მეტი თუ არა!)... კულტურა და ახალგაზრდობა ღირს იმად, რომ დაწესებულების ხელმძღვანელები და თითოეული მოქალაქეც, თვითონ საზღვრავდეს თანადგომისა და სტიმულის მიცემის, ინტერესის გაღვივების ფასსა და დროს. იმედია, რომ მომავალი უკეთესად გვაჩვენებს ჩვენსა და თქვენს საკეთებელს, მთავარია, ვიდგეთ იქ, სადაც ჩვენი ადგილია...

**ნანა ბუკია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი.**

## გიხაროდეს!

# თეიმურაზ კვიკვინია ევროპის თასის პრიზიორია



ინტელექტის უნივერსალური განმარტება არ არსებობს. ზოგი მას ზოგად ნიჭად თვლის, ზოგი კი –ცალკეული უნარების ერთობლიობად.

ინტელექტუალური თამაშია ჭადრაკი, რომელიც სპარსულიდან თარგმანით ნიშნავს, „მეფე მოკვდა“... და ამ ინტლექტუალურ თამაშში ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები, რომელიც ხელს უწყობს აზროვნების ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის, თვითკრიტიკის განვითარებას, გამარჯვებისაკენ სწრაფვას და სხვა. ჭადრაკის თამაშში მკაფიოდ ვლინდება პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებანი. სწორედ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ მრავალმხრივი ინტელექტის მატარებელია თეიმურაზ კვიკვინია . ეს კლასიკური ინტელექტუალური თამაში–ჭადრაკი თეიმურაზისთვის მეტად ძვირფასია. ის ყოველთვის იბრძვის ახალი წარმატებისთვის. თეიმურაზს აქვს გამბედაობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნიჭი. გაიმარჯვო–ნიშნავს, გწამდეს, სწორედ, სწამს გამარჯვებისა და აღწევს კიდეც. ის მშვიდად და აუჩქარებლად თამაშობს. თეიმურაზს არაერთხელ ჰქონდა გამარჯვება... მას უყვარს ფიქრი და აზროვნება, რაც ჭადრაკის თამაშისთვის აუცილებელია. მას 2013 წლიდან მოყოლებული, უამრავი წარმატება ჰქონდა. იყო საქართველოს ჩემპიონი 7 წლამდე ჭაბუკებში; ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული 7 წლამდე ჭაბუკებში, სამეგრელო–ზემო სვანეთის ჩემპიონი 7-8 წლამდე ჭაბუკებში.

2014 წლიდან საქართველოს ორგზის ჩემპიონია! ამჯერად 8 წლამდე ჭაბუკებში პირველი. გარდა ამ გამარჯვებისა 2014 წელს ის მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი გახდა:

თეიმურაზის ბოლო წარმატება ქალაქ ბათუმს უკავშირდება, სადაც ევროპის ბავშვთა ჩემპიონატზე პირველად ასპარეზობდა და 9 შესაძლებლობიდან 4 ქულა მოაგროვა.

25 ოქტომბერს კი გაიმართა ევროპის თასის გათამაშება საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში 10 და 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის, სადაც ევროპის 11 ქვეყნის 64 ბავშვი მონაწილეობდა. 8 წლის თეიმურაზმა 10 წლიანთა შორის გამოიჩინა თავი და მესამე ადგილი დაიკავა და ევროპის თასის პრიზიორიც გახდა!

ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებით 2014 წლის 1 ნოემბრიდან თეიმურაზ კვიკვინია საერთაშორისო რეიტინგის მქონე მოჭადრაკეა, მიენიჭა 1395 სარეიტინგო ქულა. 8 წლის თეიმურაზი წარმატებული მოჭადრაკეა... წარმატებული მოსწავლე, აქვს მუსიკალური ნიჭი, უყვარს ფეხბურთი, კარატე, ასწრებს სწავლას, კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას. ის რვა წლისაა, მეოთხე კლასელი და იცის, როგორ გაანაწილოს დრო სწავლისა და ჭადრაკისთვის.

თეიმურაზ კვიკვინია სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლისა და ზუგდიდის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეა. ჩვენ ვამაყობთ მისით. უფალი მიუძღვის თეიმურაზს წინ და იმედი გვაქვს, კვლავაც უამრავი წარმატება ექნება!

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**ნინელი (მზია) ხუხია.**

## გვწერენ

# გზა დაგელოცოთ!

**ღია ბარათი ზემო ქვალონის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს ქალბატონ ჟანა ჯაიანს**

ემსახურო მომავალ თაობას, მეტად საპასუხისმგებლო მისიაა. სკოლის წინამძღოლობა, ასეთი დაფასება თუ შეფასება „ლანგრით“ არ მოსულა. ეს, თეთრად გათენებული ღამეების, მონდომების და მიზნის მიღწევის უდიდესი სურვილის შედეგია.

საყვარელი ბავშვების და ახალგაზრდული პედკოლექტივის სიყვარულმა, ნიჭიერებამ და შრომისმოყვარეობამ, გამოავლინა ის თვისებები, რასაც თქვენ იმსახურებთ, ხართ დიდებული ადამიანი, ტკბილმოუბარი, ჩუმი, უხმაურო ქალბატონი.

ახალი რეფორმების გატარებამ, სკოლას მნიშვნელოვანად უცვალა იერსახე, გაჩნდა მეტი ინტერესი, საქმისადმი პასუხისმგებლობა, ბავშვების კარგი აღზრდა-განათლების მისაღებად. პარალელურად: სკოლის, უკეთ კეთილმოწყობის მხრივ, რაიონის რესურსცენტრის აქტიური მხარდაჭერით.

გაივლის წლები... თქვენი აღზრდილები და კოლეგები, დიდი სიყვარულით მოგიგონებენ როგორც „თბილი“ ჟანა მასწავლებელი. ეს ყველაფერი წიგნის კითხვის სიყვარულმა მოგცათ.

ყველამ მხარი უნდა დავუჭიროთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია–II მოწოდებას „იკითხეთ და შეიყვარეთ წიგნი“.

მუდამ ვეთაყვანები წიგნის კითხვის მოყვარულთ, რადგან ეს ჩემი ცხოვრების ჰობია, და ალბათ, იქნება სიკვდილამდე. სოფელი ამაყობს, ცოდნის პატარა ტაძრით.

ღმერთმა დაგლოცოთ, დაგაბედოთ წელთა სიმრავლე, წარმატება და ბედნიერება, ლამაზ ოჯახთან ერთად.

გილოცავთ, გზა დაგელოცოთ, უკეთესი მერმისისაკენ.

***გულიანა ბუკია,***
***ზემოქვალონი, პენსიონერი–დიასახლისი.***

## ეს საინტერესოა

# სურნელი, რომელიც აახალგაზრდავებს

ჩიკაგოს გემოსა და სურნელის შემსწავლელი ინსტიტუტის (Sense of Smell Institute, Chicago) მკვლევარებმა მანდილოსნებში ჩაატარეს გამოკითხვა–როგორი სურნელია მათთვის ყველაზე სასურველი?–რის შედეგადაც დაადგინეს რომ მანდილოსნები ისეთ სურნელზე ოცნებობენ, რომელიც მათ უფრო ახალგაზრდას და სასურველს წარმოაჩენს მამაკაცების თვალში.

ამ გამოკითხვის შემდეგ მკვლევარებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ–უნდა ეპოვათ ასეთი სურნელი, თუ ის, რა თქმა უნდა, არსებობდა.

ექსპერიმენტისათვის მათ შეარჩიეს როგორც ხილის, ასევე ყვავილოვანი და ბალახოვანი სურნელები: ბანანი, პიტნა, გრეიფრუტი, ვანილინი, ალოე... და რიგრიგობით აპკურეს თითოეული სურნელი ექსპერიმენტში მონაწილე შუა ხნის ქალბატონებს. მამაკაცებს კი მოსთხოვეს მათი ასაკი დაესახელებინათ.



ექსპეიმენტმა აჩვენა, რომ არცერთმა შემოთავაზებულმა სურნელმა ისე არ იმოქმედა მამაკაცების წარმოსახვაზე, როგორც გრეიფრუტმა. ამ ეგზოტიკური ხილის სურნელმა საშუალება მისცა მის მფლობელს გამოიყურებოდეს მამაკაცების თვალში უფრო ახალგაზრდულად და თანაც, მთელი 6 წლით.

სხვა სურნელებმა ქალბატონების „გაახალგაზრდავება“ ვერ შეძლეს.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.